# საქართველო

წლიწადი მეექვსე — შაბათი, იანვრის 17 1920 წ. № 12 — ფასი 3 მან.

**კინო პალასი** | დიდებული დადგმა. საუცხოვო ანსამბლი: — ეკრანის ორი სიმშვენიერე

ელენე ლეონიდოვისა

(ცნობილი მარიამ მაგდალინელის სურათით)

ევა დორინგტონ — მხატვრულ სალონის დრამაში

**ვნება და გამოცდა** — 5 ნაწილად

ცეკვა „შიშველისა“

ე. ლეონიდოვის შესრულებით

მუსიკ. ილუსტრ. ნ ხუდიაკოვისა

**აპოლლო** | სამშაბათიდან მხატვრული დადგმა 5 ნაწილად

## ზინდების დედოფალი

ნათამაშევი პარიზის ოპერის მსახიობთაგან.

მთავარ როლში ულამაზესი მილლა მორიე.

დასასრულ სანახაობითი

**კინო-თეატრი** ოლღას ქუჩა № 3. ფილმა გაგრძელება გრანდიოზული დადგმისა

დღეს **ფილანტროპი და მეზღვაური სიმბადი**

ეპოქები 3 და 4 (6 ნაწ.)

**გრაფ-მონტე-კრისტო**

ა. დიუმას უკვდავ რომანით

ძმ. „პატეს“ ატელიეს გამოცემა.

## პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# საქართველო

1920 წ. (წელიწადი მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი - კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო“ და ერთად შემოიტანონ ხვედრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წერეთელთან, სამეურნეო ბანკში პ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძუძულოვთან, შუა ბაზარში იოსებ გელესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სესიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. ღუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „ნოე“-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ ან. მენდუკიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ. ჯავახიშვილთან.

## გაზეთის ფასი:

| ერთი წლით | ნახევარ წლით | სამი თვით |
| --- | --- | --- |
| 1000 მან. | 600 მან. | 300 მან. |

**მისამართი:** თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.

**კოოპერატივ „დახმარება“-ს გამგეობა**

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ მან შეიძინა ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიის „ალფას“ ფეხსაცმელის „მაზის“ წარმოება და ნაწარმოები, რაც კიდეც იყიდება კოოპერატივის ორივე მაღაზიებში: თავისუფლების მოედანზე (თამამშევის სახლში) და ოლღას ქ. № 28, როგორც ბითუმად, ისე წვრილად.

რადგანაც „მაზი“ საუკეთესო თვისებისაა, მრავლად მოიპოვება თბილისის ბაზარზე ზემო-აღნიშნული ფირმის მიმსგავსებული ყალბი „მაზი“, საჭიროა ყურადღების მიქცევა ეტიკეტისა და ბანდეროლისათვის.

კოოპერატივის გამგეობა.

**საქართველ. სატრანსპორტო საზოგ. გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრების გაგრძელება გადადებულია და დანიშნულია ორშაბათს, ამა იანვრის 19-ს, საღამოს 7 საათზე, საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 6).

გამგეობა.

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მთავარი გამგეობა აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 18 იანვარს, დღის 12 საათზე, მამა დავითის ეკლესიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ ცნობის გამო გადახდილ იქნება პანაშვიდი საქართველოს თავისუფლების მოტრფიალე პოეტების:

**ილიას, აკაკის** და საზოგადო მოღვაწის **დიმიტრი ყიფიანის**

სულის მოსახსენებლად

2722 2—1

**სახელმწიფო თეატრი**

ოპერა ევლახოშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს იანვრის 17-ს

**თქმულება შოთა რუსთაველზე**

**ქართული კლუბი**

დღეს იანვრის 17 ს.

საოჯახო საღამო მამასახლის ნ. ერისთავის.

თეატრში გაიმართება

**ილია ჭავჭავაძის** ხსოვნის აღსანიშნავად

**დიდი საზეიმო საღამო**

სცენაზედ—სურათები ილიას თხზულებიდან

მონაწილეობენ: ქ.ქ. ნ. დავითაშვილი, ქიქოძიშვილი, ივანე გომართელი, ი. მაჭავარიანი, ვ. გუნია, ნ. ერისთავი, ვ. გამყრელიძე, ჭიაურელი, ვასაძე, ახალგაზრდა მგოსნები ფაშალიშვილი და მჭედლიშვილი.

სახადილოში—კონცერტი

მარო თარხნიშვილის გუნდი და ნეაპოლიტანის კაპელა.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით — საღამოს გამგე— ნ. ერისთავი.

**ქართული კლუბი**

კვირას 18 იანვარს

თბილისის ქართველ მსახიობთა საუკეთესო ანსამბლით გაიმართება დიდი მხიარული საღამო, წარმოდგენილი იქნება

I

**ჩვენდა საქართველო**

სცენები სამ მოქმ. ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან კ. ფოცხვერაშვილისა

II

**სიმართლე**

ხუმრობა ერთ მოქმედებად თარგ. მ. ქორელისა

მონაწილეობენ: ი. წუწუნავა, მ. ქორელი, ა. არაბიძე, ა. ყორყოტლიანი ი. ჭიაურელი ო. ე. ციმაკურიძე, მ. მიქელაძე ხანდალა და სხვა.

ბილეთების შეძენა ამ თავითვე შეიძლება კლუბის კასაში. კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

ახლო მომავალში ეხსნება

**პირველი ქართული საბავშვო ბაღი**

(ქ-ნ მონტესორის სისტემით.)

მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები 3 დან 7 წლამდის. ჩაწერა და ცნობების მიღება მარიამ ერისთავთან მთაწმინდის დავითის ქ. № 36. ტელეფ. 21—23

**ალკრე** — შაბათიდან იანვრის 12-იდან — პლეხანოვის ქუჩა, 91.

თბილისში ჯერ არ დადგმული მხოლოდ მოზრდილთათვის

**„ქალთა მოძულეთა კლუბი“**

ორიგინალური კომედია 3 მოქ.

მთავარ როლებში ცნობილნი: ტატიან პავლოვა და მოწახოვი მეტად პიკანტური და მახვილი.

**ნიაგარის ტალღების ნიშვა** მშვენიერი დრამა 2 ნაწ.

ინგლისური ბოქსი სასპორტო სანახაობით

დასაწყისი საღ. 5 ს.



**ქიმერიონი**

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

დღის 11 საათიდან 5-დე სადილი

ანგელესკოს რუმინული ორკესტრი

დღეს 2-რე ახალი პროგრამა

1) მსახიობნი საზოგადოებაში, 2) ორი პიერო 3) მშვენიერი უცნობი ქალი, 4) ბატკნები ქაოსლდში 5) აპაშების ცეკვა, 6) დემოკრატიული ლუბოკი, 7) ბრამსის ცეკვა.

სტუმრების შეკრება დაიწყებილამის 10 ს. პროგრამა—11 ს.

კონფერანსიე ნეჩაევი

**დრამატიულ საზოგადოების სარევიზიო კომისია**

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

**საზოგადო კრება**

განსახილველი საგნებია:

1) მიღება ახალ წევრთა
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა
3) არჩევნები ახალ გამგეობისა
4) მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. 332 5—4

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისთვის

დასურათებული ყოველკვირეულ ჟურნალი

**„ნაკადული“**

(წელიწად მეთექვსმეტე)

ჟურნალს სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ.
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯერ.

| | | |
| --- | --- | --- |
| წლიურად ორივე გამოცემის ფასი | 150 მან. | |
| ცალ-ცალკე | 85 | „ |
| ნახევარი წლით | 90 | „ |

მისამართი: თბილისი „ნაკადული“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსავლელი დავითის ქუჩიდან № 2 ტელეფონი № 7—6. 321 10—4

**კინემო მინიონი**

ბარიატინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

სეზონის სიახლე

სულ ახლახანს ინგლისიდან მიღებული მხატვრული დრამა 5 მოქ.

**პატიოსნებისა და დიდებისათვის**

პირველად თბილისში

სეანსების დასაწყისი: საღამოს 5 საათიდან.

## საქართველო და ბოლშევიზმი

აზერბაიჯანის გაზეთებში მოთავსებულია ცნობა, რომ მოკლე ხანში პოლონეთის ინიციატივით, განზრახულია მოწვეულ იქმნას კონფერენცია ყველა განაპირა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა, მათ შორის კავკასიის სახელმწიფოების და რუმინიისაც, ანტი-ბოლშევიკურ სამხედრო კავშირის შესაქმნელად.

ბოლშევიზმი ის ანტი სოციალური მოვლენაა, რომელიც შლის სახელმწიფოს წესრიგს და არღვევს სახელმწიფო სიმაგრეთ. მაგრამ ეს მოვლენა აღმოცენებულია მხოლოდ რუსეთის ნიადაგზედ და მიუხედავათ იმისა, რომ მისი გავლენის გავრცელება განზრახული იყო მთელი მსოფლიოს სივრცეზედ, ვერსად, რუსეთის ფაქტიური საზღვრების გარეშე, ვერ გასვითარდა იგი; ევროპის დიდ სახელმწიფოებშიც კი, სადაც კაპიტალისტური წყობილება ძლიერად არის განმტკიცებული და კლასთა ბრძოლა თავის უდიდეს განვითარებაშია, იქაც ბოლშევიზმი უძლური აღმოჩნდა თავის ტალღებისათვის შეერთა მუშათა კლასი;—ეს მოხდა მისთვის, რომ ბოლშევიზმი აღმოჩნდა მხოლოდ ბნელი რუსეთის შემოქმედება და ვერ შესძლო დაპირისპირებოდა ევროპის მაღალ კულტურას.

ამიტომ მოხდა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ გაილაშქრეს არა მარტო ევროპის ბურჟუაზიულმა და დემოკრატიულმა წრეებმა, არამედ მსოფლიოს სოციალისტებიც კი ბოლშევიკების საწინააღმდეგო ბანაკში მოიქცნენ.

მაგრამ ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ბრძოლას თავისი ისტორია აქვს: პირველ ხანებში, როდესაც ბოლშევიზმმა ეპიდემიური ხასიათი მიიღო და შავი რუსეთის ავადმყოფობამ გერმანიაში და ავსტრიაში იწყო გადასვლა ევროპის სახელმწიფოებმა აშკარა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მას და შეეცადნენ, რომ ეს სენი თავის დასაბამშივე დაეხშოთ—ამ მიზნით იყო მოწყობილი ის ექსპედიციები ანტანტის ჯარისა, რომელნიც მხარს უმაგრებდნენ ბოლშევიკების საწინააღმდეგო ბრძოლას რუსეთში.

დროთა სვლამ დაამტკიცა, რომ ბოლშევიზმი, ნაყოფია მხოლოდ რუსეთის შემოქმედებისა და მხოლოდ რუსული მოძრაობაა, რომლის ავ-კარგი თვით რუსეთის ერმა უნდა მოიკითხოს; ამიტომ გადაუდგა უკვე ანტანტი თავის ძველს გზას და რუსეთში მებრძოლ რომელიმე მხარის მიკედლება მის შინაურ საქმეებში ჩარევათ მიიჩნია.

დღეს რუსეთის ბედი, მის საკუთარ თავზეა მინდობილი და როგორც მას სურს, ისე მოაწესრიგოს მან თავისი საქმეები.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ევროპის სახელმწიფო ბოლშევიკების სასარგებლოთ იყოს განწყობილი, ან გულგრილად შესცქეროდეს მისი რუსეთში ბატონობას.

ბოლშევიზმი დღეს ყველასაგან მიჩნეულია, როგორც ანტი-სოციალური მოვლენა, უდღეგესათ მავნე სახელმწიფოს, და მისი ეკონომიური კეთილდღეობის დამრღვევი ძალა, რომლის წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნას ზომები: ამ ზომებს ყველა სახელმწიფო თავისებურათ იღებს ის, როგორც ეს შეეფერება მის შინაურ ვითარებას და საკუთარი ძალებით და აპარატით.

და როდესაც ჩვენს წინაშე სდგას წინადადება რომელიმე კავშირში შესვლისათვის რუსეთის ბოლშევიკებთან საბრძოლველად, ჩვენ უნდა განვაცხადოთ: ჩვენი გზები უკვე განშორდენ რუსეთს და მის სამოქალაქო ომში მონაწილეობის მიღება, მიჩნეულ იქნება, უცხო სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევათ—პატარა საქართველო ასეთს წინადადებას ვერ მიიღებს.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს მოძრაობა აგრესსიულ ხასიათს მიიღებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და რუსეთის რომელიმე მებრძოლი ძალა, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, საქართველოს საზღვრებს მოადგება, მთელი ერი ერთ მებრძოლ დროშის ქვეშ დადგება.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ღ ე ს:

ბუდაპეშტში მღელვარება იზრდება. ჩამოარჩვეს 6000 სოციალისტ-ელიან რევოლიუციონერთა ახალ გამოსვლას.

ბოლშევიკებმა აიღეს ქ.ქ. უმანი და ლიკოპოლი. ყველა ასპარეზზე წინ მიდიან.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის პირველ სხდომაზე თავმჯდომარედ კვლავ დეშინელი აირჩიეს.

ერთა ლიგას შეუერთდა ესპანეთი, შვეცია, მორვეგია, დანია.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური—საქართველო და ბოლშევიზმი.
**ვახილ წერეთელი—დამოუკიდებლობა.**
**ვახტანგ გარრიკი—პატარა ფელეტონი.**
**ძმუიხელი—პედაგოგიური წერილები.**
დამფუძნებელი კრება.

# საქართველოს დამოუკიდებლობა

ჩემი სამშობლო—დამოუკიდებელია, ე. ი. ჩვენია, ჩვენვე გვეკუთვნის.

ასი წლის მონობის ბორკილი დაიმსხვრა და თავისუფალი საქართველო თავისუფალ ერთა კავშირში შევიდა.

აწ საქართველოს დროშა ამაყად აღიმართება მის გემებზე.

აწ საქართველოსაც ხმა ექნება საერთაშორისო ყრილობებზე.

აწ ეს მშვენიერი, შემკობილი, ტურფა ქვეყანა ჩვენსავე ხელში იქნება.

ვინმე გადამთიელი, მტერი, ბატონად აღარ გვეყოლება.

ჩვენს დაჩაგვრასა და დაბეჩავებას ვეღარავინ გაბედავს.

პირიდან ენას ვეღარავინ ამოგვწევდის!

ჩვენს ზნე-ჩვეულებასა და თავმოყვარეობას ვეღარავინ შეურაცხყოფს.

ჩვენს შემოქმედებას გზა გაეხსნება.

და აწ ჩვენც შევქმნით ჩვენს მეცნიერებასა და ხელოვნებასა და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში მოწინავე კაცობრიობას მხარში ამოუდგებით.

და დავამტკიცებთ, რუსთველის ღირსეული მემკვიდრეები რომ ვართ.

ქართველ ერში პოტენციალური, ძლითი, ფიზიკური და სულიერი [illegible]რგია ხელუხლებლად შენახულია.

მაშ ქართველური კვლავ განასახიერებს თავის შემოქმედებასა და წარმოშობს გენიალურ შემოქმედთ ყოველგვარ სარბიელზე.

საქართველოს დამოუკიდებლობა! ეს ხომ ჩვენი ნატვრა იყო ამ ას-ოცი წლის განმავალობაში!

კერძოდ მეც, როგორც ყველა ჩემი თანამემამულე, ამ ნატვრას, როგორც წმიდათა წმიდას, სიყვაწვილიდან გულით ვატარებდი და ვზრდიდი.

ოცნებაც, წარმოდგენაც კი დამოუკიდებლობის—წამიერ ნეტარებას მომვლინებდა ხოლმე.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელჩართული ბრძოლა მენატრებოდა!

საქართველოს განთავისუფლების გზები მეხატებოდა.

მახსოვს, ადესაში, პირველსა და მეორე კურსზე რომ ვიყავით რა აღფრთოვანებით ვოცნებობდი ჩემს ამხანაგებთან ერთად სამშობლოს განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ!

ჩვენმა შვილებმა ეს ბრძოლა გადიხადეს და თავისი გმირობით საქართველო დამოუკიდებელ ჰყვეს.

და აგვისრულდა ას-ოცი წლის ნატვრა!

ჩემო მშვენიერო სამშობლო! ჩემს გულში ბევრი მწუხარებაა შეკრებილი და აგუბებული. მაგრამ ჩემი გულის ერთს კუნჭულში შენი განთავისუფლების მიერ წარმოშობილმა სიხარულმა დაიბინავა და პირადი მწუხარება შემიმცირა!

მიხარია, რომ აწ ქართველის თავისუფალს შემოქმედებითს მუშაობას წინ ვეღარავინ გადაეღობება!

მიხარია, რომ აწ ქართველს ნება აქვს თავისუფლად ილაპარაკოს, თავისუფლად იმღეროს, თავისუფლად იმხიარულოს, თავისუფლად მისდიოს თავის ზნე-ჩვეულებას!

მიხარია, რომ ქართველი ან აღარ იქნება ქედმოხრილ მონად გადამთიელი ბატონის წინაშე, არამედ იქნება ამაყი, გამბედავი, თამამი. იმპარტოვანი და თან ზრდილი, თავმდაბალი და ალერსიანი, როგორც შეეფერება თავისუფალი ქვეყნის შვილს.

მიხარია, რომ ქართველს აღარ დასჭირდება ორპირობა და ცბიერობა, პირიქით, ის იქნება პირდაპირი, შეუპოვარი, მოურიდებელი, მართლმოყვარე და გულწრფელი!

მიხარია მაშასადამე, რომ ქართველი იქნება თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე!

მიხარია ეს, ვინაიდან მხოლოდ თავისუფლებაშია ბედნიერება.

და ჩემ სიხარულს მით უფრო აქვს საფუძველი, რომ დღევანდელი დამოუკიდებლობის პირობები სულ სხვაა, ვიდრე ძველად.

კონსტანტინოპოლი, ეს სადარაჯო შუა ადგილი, რომელმაც მსოფლიოს მოჰკვეთა 1453 წლიდან,—როდესაც იგი ოსმალოებმა აიღეს,—საერთაშორისო ქალაქად გადაიქცა.

და სპარსეთ-ოსმალეთი და რუსეთი, რომელთა შორისაც საქართველო საცილობელსა და საბჯენთაო ქვეყანას წარმოადგენდა, თვითონვე მოექცენ ევროპის უზენაესი ზედამხედველობის ქვეშ.

და აწ საქართველოს არსაიდანღა საფრთხე აღარ მოელის. და გზა ყოველი მხრით გახსნილი აქვს.

იმავე დროს საქართველოს ევროპა-აზიის სავაჭრო ცენტრი უჭირავს.

ეს არის ჩვენი სამშობლოს მომავალის ყოველ მხრივი წარმატების საწინდარი.

მდიდარი, კულტურული და განათლებული იქნება მომავალი საქართველო.

მაგრამ ერთი პირობით: თუ შინაურ წესწყობილებაშიაც თავისუფლება იქნება განხორციელებული.

მაშ ვეცადოთ, მოპოებული დამოუკიდებლობის საფუძველზე—თავისუფლების კედელი ავაშენოთ და შევქმნათ დამოუკიდებელი საქართველო—თავისუფალ საქართველოდ.

**ვახილ წერეთელი**

14 იანვ. 1920 წ. ქ. ქუთაისი.

# დამფუძნებელი კრება

## საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

**იანვრის 14-ს სხდომა.** (დასასრული).

დამფუძნ. კრების თავმჯდ. ა. ლომთათიძის შემდეგ ლაპარაკობს აკაკი ჩხენკელი.

### აკაკი ჩხენკელის სიტყვა

ულოცავს დამფ. კრებას და მთავრობას იანვრის 12-ს და აღნიშნავს მთავრობის თავმჯდომარის სალსა და ფრთხილ პოლიტიკას. ნოე ჟორდანიას მთელი დამფუძნებელი კრება ფეხზე ადგომით კვლავ ოვაციებს უმართავს. შემდეგ ორატორი აღნიშნავს დამფუძ. კრების მიერ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას ამ საზეიმო დღის აღსანიშნავად სახელდობრ ითხოვს თავისი ფრაქციის სახელით ტუსალების ხვედრის შემსუბუქებას. სოც.-დემ. ფრაქციის სახელით ანდობს მთავრობას შესაფერ კანონ-პროექტის წარმოდგენას უახლოეს სხდომაზე. წინადადებას აძლევს აგრეთვე მთავრობას გაუგზავნოს შესაფერი დეპეშები საზავო კონფერენციის თავმჯდომარეს და ლორდ კერზონს, რომელმაც მიიღო თავის-თავზე ინიციატივა და დასვა ჩვენი საკითხი საბჭოში. შემდეგ ორატორი არკვევს განსხვავებას ფორმალურ და ფაქტიურ ცნობას შორის და აღნიშნავს, როცა დიდმა ბრიტანეთმა იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა ფაქტიურად, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი იცნობს აგრეთვე ფორმალურადაც, ვინაიდან თავი და თავი ფაქტია. მოყავს ცნობილ საერთაშორისო უფლების ბორჯუს აზრი იმ ხელშეკრულობის შესახებ, რომელიც დაიდვა თავის დროზე რუსეთსა და საქართველოს შორის, და აღნიშნავს, რომ საქართველოს აქვს სრული უფლება გამოაცხადოს თავი დამოუკიდებლად და აცნობა სხვა სახელმწიფოებსო. საზღვრების გაურკვევლობა არის ალბად მიზეზი ამბობს ავტორი, რომ შეჩერდა ჯერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობაო. იმ შემთხვევაში, რომელიც წარედგინა უზენაეს საბჭოს საქართ. დელეგატის მიერ არის აღნიშნული ბათომი და მისი ოლქი. და თავისუფალ საქართველოში უნდა შევიდეს, როგორც მისგან განუყრელი ნაწილი ეს ოლქიცო ავალებს მთავრობას ფრაქციის სახელით, რათა მან მიიღოს სასწრაფო ზომები ამ საკითხის გამორკვევად. შემდეგ აღნიშნავს ხალხთა შორის ლიგას და მის მნიშვნელობას. იგონებს ევროპის მუშათა კლასის მეთაურებს და მათ შორის ჰენდერსონს, რომელმაც დახმარება გაუწიეს მას საქართველოს საკითხის პოპულიარიზაციაში, ვრცლად ახასიათებს ოლივერ უორდროპის და მისი განსვენებული დის მარჯორას მოღვაწეობას საქართ. სასარგებლოს და დასასრულ უსურვებს მთავრობას და დამფ. კრებას დიდებით შემოქმედებითი მუშაობას. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს შრომა, შრომა და შრომა ათავებს თავის სიტყვას ორატორი (ტაში).

ჩხენკელის შემდეგ ლაპარაკობს სოც.-ფედერალისტების ფრაქციის წარმომადგენელი—ს. ფირცხალავა, სოც.-რევოლუციონერების—ლ. შენგელაია, ამათ შემდეგ ნა.-დემოკრატების გიორგი გვაზავა.

### გ. გვაზავას სიტყვა.

გ. გვაზავა (ერ. დ.) „მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო!

ბედნიერი ვარ მე, რომ ამ კათედრიდან შემიძლია მოგილოცოთ თქვენ და მთელ საქართველოს ერს დღევანდელი დღესასწაული. ბედნიერი ვართ ჩვენ, ყველანი, რომ მოვესწარით ამ დიდს, ამ სანატრელ და დაუვიწყარ მომენტს ჩვენი ერის ისტორიისა. რამდენი მამულიშვილი, რამდენი მოდგმა ჰტიროდა ჩუმად, ჰნატრობდა ამ წამს, ოცნებობდა ამ დღეზე, მაგრამ ვერ მოესწრო მას, ცრემლით და მწუხარებით თან წაიღო სამარეში თავისი ოცნება და იმედები.

რომ კარგად შევიგნოთ და რიგიანად დავაფასოთ სიდიადე ამ მომენტისა, საჭიროა გადავავლოთ თვალი ჩვენი ერის წარსულს, იმ ისტორიის საიდუმლო გზას, რომელზედაც იგი დადგა და მიდიოდა დღიდან მისი დაბადებისა. აქ მთავრობის თავმჯდომარემ უკვე სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენ წარვდგით ევროპის წინაშე არა ხელცარიელნი, არამედ ოცი საუკუნის კულტურითაო. ვინ შექმნა ეს კულტურა? ვინ იყო ხელმძღვანელი ქართველი ერისა ამ ოცი საუკუნის განმავლობაში? მოიგონეთ ბრწყინვალე ხანა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, მოიგონეთ მთელი პლეიადა დიდებულ მოღვაწეებისა, რომლებიც ეხვივნენ გარე მის ბრწყინვალე ტახტს და ჰქმნიდნენ საქართველოს ეროვნულ სულს; მოიგონეთ სარგის ჯაყელი მესხეთში, ლიპარიტ ორბელიანი ბორჩალოში და სხვა მრავალი გმირები საქართველოს ყოველ კუთხეში. ეს გმირები ედგნენ დარაჯად საქართველოს, თავის ხმლითა გამოსჭრეს და გამოაქანდაკეს ამ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს უდავო საზღვრები და შექმნეს საქართველოს ეროვნული ორგანიზმი. დღეს, როცა იწყება ახალი ხანა, საქართველოს დემოკრატიამ არ უნდა დაივიწყოს მათი დიდებული ღვაწლი და თავგამოდებული მუშაობა. აქ ნათქვამი იყო, რომ მეფეებმა ვერ შესძლეს საქართველოს მთლიანობის აღდგენა და დაცვა მისი თავისუფლებისა, ვერ შესძლეს ის, რაც დღეს შექმნა დემოკრატიამაო. ეს მართალია, მაგრამ ვერ შესძლეს მეფეებმა არა იმიტომ, რომ არ შესწევდა გმირული ჟ[illegible] და გამჭრიახი გონება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა დრო იყო, სხვა [illegible]რემოება, სხვა საერთაშორისო პირობანი. ეხლა ეს პირობანი, ეხლა ეს პირობები გამოიცვალა, დაინგრა ორი დიდი იმპერია—რუსეთი და ოსმალეთი, გაიხსნა ისევ ძველი, ისტორიული შარა-გზა და ჩვენმა დემოკრატიამ ბუნებრივად და ლოღიკურის აუცილებლობით დაადგა ამ გზას.

ეს გზა მიდის ევროპისაკენ. ნურავინ, ნურც პარტია, ნურც კერძო პირი ნუ იტყვის იმას, რომ ვითომდა მან აღმოაჩინა ეს გზა, რომ ვითომდა მან მისცა ქართველ ერს ეს ახალი მიმართულება. არა, ბატონებო, საქართველო ამ გზას ადგა დღიდან თავისი კულტურული დაბადებისა. იგი ბუნებრივად შედიოდა იმ არეში, რომელიც ეპყრა ხმელთა შუა ზღვის კულტურას. უმთავრესი ცენტრი ამ კულტურისა იყო ათენი, რომი, ბიზანტია. მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნეში ოსმალებმა გადასჭრეს ეს გზა, დაამხეს ბიზანტია და ჩვენი სამშობლო მოწყვიტეს კულტურულ კაცობრიობას. განსაკუთრებით ამ მომენტის შემდეგ იწყება ეროვნული ტრაგედია ქართველი ერისა. იგი მოემწყვდა აზიის კუნჭულში, გარს შემორტყმული უამრავი მტრებით, მაგრამ ამ ბნელ ხანაშიდაც იგი განაგრძობდა ბრძოლას, იბრძოლა კიდევ ოთხი საუკუნე, დაჰკარგა ბევრი პროვინციები, დაიცალა სისხლისაგან, მაინც მეცხრამეტე საუკუნის კარამდე მიიტანა თავისი კულტურული სიმდიდრე და პოლიტიკური ხელმწიფობა. ამისთანა პირობებში აუცილებელი იყო არა ბუნებრივი გადაზნექა ცოცხალი ორგანიზმისა რუსეთისაკენ, რუსეთმაც ამით ისარგებლა და მაგრა მიაჯაჭვა იგი თავის უშველებელ სახელმწიფოს. ეხლა, როცა დაინგრა ეს იმპერია და გაიხსნა ძველი გზა, გადაჭრილი ოსმალეთის მიერ, ჩვენი ერის ორგანიზმიც გაიმართა, მიიღო ბუნებრივი მდებარეობა და ბუნებრივად ადგება თავის ბუნებრივ ისტორიულ გზას: იგი მიდის ევროპისაკენ. ეს გზა ძველია, არ ახალი. ჩვენ რუსეთთან არა გვაქვს არაფერი საერთო არც ისტორიულად, არც რასსობრივად, არც გეოგრაფიულად. შეწყდა არა ბუნებრივი და იძულებითი კავშირი იმასთან, იწყება ახალი ხანა თავისუფალ მოძრაობის და ბუნებრივი განვითარებისა.

ესაა უმთავრესი შინაარსი იმ ისტორიულ გარდატეხისა, რომელიც ეხლა მოხდა და რომელიც ღრმად უნდა შეიგნოს ყოველმა ქართველ მოქალაქემ.

ჩვენ გვიცნეს, როგორც თავისუფალი სახელმწიფო, ჩვენ შევდივართ საერთაშორისო ოჯახში, როგორც სრულუფლებიანი წევრი. მადლობა დიდს ბრიტანეთს, რომელმაც დაგვიჭირა მხარი და გამოიწვია საერთაშორისო დადასტურება ჩვენი დამოუკიდებლობისა. მაგრამ ჩვენ ჯერ მაინც ნორჩი ვართ, ჩვენ ბევრი რამ კიდევ გვაკლია. ჩვენ არა გვაქვს საკმარისი ცოდნა, საკმარისი ტეხნიკა, საკმარისი კაპიტალი. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგივე სახელმწიფონი, რომელთაც იცნეს ჩვენი ხელმწიფობა, და განსაკუთრებით იგივე დიდი ბრიტანეთი მეგობრულად გაგვიწვდის ხელს და დაგვეხმარება ჩვენი სახელმწიფოებრივ ცხოვრების განმტკიცებაში. ჩვენ გვყავს ჩვენი სახელოვანი ჯარი და სახელოვანი გვარდია, ბურჯი ჩვენი დამოუკიდებლობისა და შინაური წესიერებისა. მაინც ეს აუცილებელი მილიტარული ძალა უნდა აღჭურვილ იქმნას და სრულებით მოწყობილი ტეხნიკურად, ცოდნით და დისციპლინით, რომ პირნათლად აღასრულოს თავის დიადი მოვალეობა. ჩვენი ქვეყანა სავსეა სიმდიდრით, უნდა ამოვიღოთ იგი მიწიდან, უნდა დავამუშავოთ ჩვენი ხალხის საბედნიეროდ,—აქაც გვინდა შველა და დახმარება ცოდნით და კაპიტალით. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ძალიან მიძნელებულია, ჩვენი ვაჭრობა და მრეწველობა—თითქმის დანგრეული, ჩვენი ფინანსი—მეტად სამწუხარო. ვინ გვიშველის, თუ არა ისევ დიდი ინგლისი და მისი კეთილშობილი ერი?

მაგრამ ჩვენც ამისთანა პირობებში უნდა ვიდგეთ შესაფერი სახელმწიფოებრივ დონეზე. უნდა განვამტკიცოთ წესიერება და კანონიერება სამოქალაქო ცხოვრებაში. თვით საერთაშორისო ცნობა არის განსაკუთრებით უფლებრივი აქტი და იგი აუცილებლად გვავალებს განვამტკიცოთ უფლებრივი წესი და რიგი ჩვენს შინაურ ცხოვრებაში. უნდა დაცულ იყოს უფლება და თავისუფლება ყოველი მოქალაქისა, უნდა აღმოიფხვრას ყოველი თვითნებობა და უსამართლობა, უნდა შეიქმნას აუცილებელი პირობანი თავისუფალი შრომის და შემოქმედებისა. ეს ევალება ჩვენს მთავრობას და იმედს გამოვსთქვამ რომ იგი გაორკეცებულ მხნეობით შეუდგება ამ აუცილებელ პირობათა დამყარებას.

ჯერ არ არის საერთაშორისოდ გამორკვეული ჩვენი საზღვრები, მაგრამ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს დაუბრუნდება ყველა მისი ორგანიული ნაწილები, არა მარტო ბათომის ოლქი, არამედ ლაზისტანიც, თორთუმი და ისპირიც, აგრეთვე სხვა განაპირა მიდამოებიც, რომლებშიც ყოველთვის შეადგენდენ მის განუყოფელ ორგანიულ ნაწილებს. მართალია, ჩვენ გვქონდა და ეხლაც გვაქვს უკმაყოფილება ჩვენ მეზობლებთან შესახებ ზოგი ამ ადგილებისა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ—იზრდება შეგნება, რომ ბრძოლითა და სისხლის ღვრით ვერავინ ვერაფერს მიაღწევს. იზრდება შეგნება, რომ ერი უკვდავია, როგორც ღმერთი, და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს მხოლოდ მივაყენოთ ზიანი, დავჭრათ და დავასახიჩროთ ერთმანეთი, მაგრამ მოსპობა ან მოწყვეტა ერთმანეთისა ჩვენ არ შეგვიძლია. ამიტომ ყველასათვის უფრო ხელსაყრელია მორიგებით და მშვიდობიანად გათავდეს ყოველი სადავო საკითხი ჩვენ მეზობლებთან. იმედი მაქვს, ეს ასეც მოხდება.

მაშ გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს კავკასიის უკვდავ ღმერთებს—საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და ჩრდილო კავკასიას. (ტაში)

შემდეგ ლაპარაკობენ ნაციონალისტების წარმ. ფეშაპელი და დაშნაკელების—ტერ-სტეფანიანი.

სხდომის დასასრულ ერთხმად იქმნა მიღებული სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

### რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

მოისმინა რა მთავრობის განცხადება მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს ფაქტიურ დამოკიდებულობის ცნობისა, დამფუძნებელი კრება სალამს უძღვნის მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ ერებს და დიდ ბრიტანეთს, რომლის თაოსნობით უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა.

დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ საქართველო, შედის რა ფაქტიურად, როგორც სრულ უფლებიანი წევრი სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახში, პირნათლად შეასრულებს ყოველივე საერთაშორისო მოვალეობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, რომელიც მან დიდი მსხვერპლის შეწირვით მოიპოვა, სამკვდრო სასიცოცხლოთ შეებრძოლება ყოველივე თავდასხმას, მტკიცეთ დაიცავს კეთილმეგობრულ განწყობილებას მეზობელ სახელმწიფოებთან და უზრუნველ ყოფს შიგნით ეროვნულ უმცირესობათა სრულ თანასწორ უფლებაიანობას და მათ კულტურულ განვითარების პირობას.

დღევანდელი დღესასწაულის აღსანიშნავათ დამფუძნებელი კრება ადგენს: დაევალოს მთავრობას მახლობელ დღეებში წარმოადგინოს სათანადო პროექტი დატუსაღებულთა დაპყრობილთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

დამფუძნებელი კრება ავალებს მთავრობას გადასცეს სალამი მოკავშირე სახელმწიფოებს, ამასთანავე მიანდოს პრეზიდიუმს მიულოცოს დამოუკიდებლობა აძერბაიჯანის პარლამენტს, [illegible] სომხეთის პარლამენტს და მთიელთა ერებს და უსურვოს მათ დამოუკიდებლობის მალე აღიარება.

# შ ე ს ხ მ ა

**წარმოთქმული თავისუფლების მოედანზე საზეიმო პარაკლისის დროს ანტანტისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.**

ქრისტესმოყვარე ძმებო და დებო, დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალნო მოქალაქენო!

ამ ბრწყინვალე წამს ჩემი სოფლური ყრმობიდან უნებურად მაგონდება ერთი საახალწლო ჩვეულება, რომელსაც გაუტეხელად [illegible] ლი ქართული სახლობა: მშობლები, ან მათი მოადგილენი, ოჯახის თვითეულ წევრს საკუთრად, მიუხედავათ ასეთის პასაკისა, [illegible]ცხობდნენ ეგრედ წოდებულ „ბედის პურს“, რომელსაც მეტი სიტკბოსა და გემოსათვის აყოლებდნენ გულში ჩამიჩს ან ნიგოზს.

ჩვენც, დედა საქართველოს ოჯახის ძენო და ასულნო, ჯერ ჩვენმა ზეციერმა მამა ღმერთმა და მერე ჩვენმა გონიერმა მთავრობამ გამოგვიცხო დღეისთვის ყველას საახალწლო შემრგო, ყუათის მომცემი, ტკბილი და გამტკიცული „ბედის პური“.

ქვეყნიერობაზე გონიერი არსებისთვის დამოუკიდებლობაზე უძვირფასესი არა არსებობს რა. კაცისათვის, თუ ის ღირსეულად ატარებს ამ სახელს, თავისუფლება მაცოცხლებელი მზეა და აი დამოუკიდებლობის, ამ თავისუფლების ღირსად გამოგვაცხადეს და გვიცნეს დღეს ევროპის და ამერიკის უძლიერესმა ერებმა.

საყვარელნო! მოგეხსენებათ, რომ „ბედის პურის“ ფქვილი ყველა ოჯახს სახლში აქვს და საბედისპურო ცომიც ოჯახსავე ვარცლში იზილება, მარტო თონეს გასახურებელი შეშაფიჩხის მოსატანად მიდიან ხოლმე შორს ტყეში ოჯახის ვაჟკაცნი.

ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლებაც აქ, ჩვენშივე შემზადდა და გამოცხადდა ამ ორი წლის წინეთ, მაგრამ ეს არ კმაროდა: საჭირო იყო, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა აღეარებინათ უცხოელებსაც. ამის გასარიგებლად და მისაპოებლად გაემგზავრნენ ევროპაში ჩვენი ქვეყნის სახელ მოხვეჭილი კაცები და აი დღეს ამ დესპანებმა ზურგით მოგვიტანეს კაცობრიობის თონეში საუცხოვოდ გამოშუშულ გამომცხვარი ტკბილი საახალწლო „ბედის პური“—თავისუფლების დადასტურება.

დასტკბით, ძვირფასნო, ამ ნეტარებით! შეისისხლ-ხორცეთ დიდმა და პატარამ ეს ბედნიერება და ისარგებლეთ მით ისეთი გონიერებით, რომ ევროპას და ამერიკას სათქმელად ჰქონდეთ: რატომ უფრო ადრე არ ვსცანით საქართველოს დამოუკიდებლობა!

შვილებრივი მადლობა და თაყვანისცემა აღუვლინოთ ესოდენ უზომო ბედნიერების ჩვენს თავზე მოვლენისათვის ცისა და ქვეყნის მეუფე დაუსაბამო ღმერთს, უღრმესი მადლობა და გულითადი პატივისცემა მიუძღვნათ ევროპისა ამერიკის სახელოვან ერებს ჩვენდამი ძმური ხელის გამოცდისა და თავიანთ ოჯახში სწორუფლებიან წევრად მიღებისათვის, გულის სიღრმიდან ამოვარდნილი ვაზას გრგვინვა-ქუხილით გავახაროთ ჩვენი მთავრობა და ჩვენს საყვარელ ერს ვუსურვოთ ყველამ წინსვლა, აყვავება, ძლევამოსილება, მარადისობა და უკვდავება!

იზეიმეთ, საყვარელნო!

სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი ლეონიდე.

# უ ც ხ ო ე თ ი

## აზერბაიჯანი.

**უცხოეთის პრესსა აზერბაიჯანის შესახებ.**

გაზ. „L' Entente“ ში მოთავსებულია კორრესპონდენცია შემდეგი შინაარსის:

„პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც იღებს ბაქოდან, არის ის, რომ იმყოფები მნიშვნელოვან კომმერციულ ცენტრში. ადგილობრივი ვაჭრობა საყურადღებოა იმით რომ მომეტებულ ნაწილად ვაჭრობა იმყოფება ადგილობრივ მცხოვრებ თათრების ხელში. ეს უკანასკნელნი მეტად შრომის მოყვარე ხალხია და მუშაობენ ყველანი პატარიდან მოყოლებული თვით ღრმა მოხუცებაში შესულნიც. ეს მაჰმადიანური ქვეყანა გამონაკლისს შეადგენს აღმოსავლეთში. ყველანი მუშაობენ, ვერ შეხვდებით ბაქოში მაჰმადიანს, რომელიც იჯდეს ყავახანაში და დროს ატარებდეს. შემდეგ რაც აქცევს ყურადღებას ეს არის მათი ეროვნული სული, რომელიც ნათლად მეტყველობს. უქმე დღეებში ისინი ვარჯიშობენ და სროლას სწავლობენ.

რუსეთის მფლობის დროს აზერბაიჯანელებს ჯარში არ იწვევდნენ და ამით უნდა აიხსნას ის გარემოება რომ დღეს სამხედრო ვარჯიშობას დიდ ყურადღებას აქცევენ! როცა კი საჭირო იქნება მთელი აზერბაიჯანის ხალხი ფეხზე დადგება თავის ქვეყნის დასაცავად.

საღამოობით მღერიან ეროვნულ სიმღერებს. მთელი ხალხი ერთი აზრით არის განმსჭვალული რომ მიიღოს თავის ქვეყნის დამოუკიდებლობა და აზერბაიჯანელი მზადაა ამის განსახორციელებლად გაიღოს ყოველივე მსხვერპლი“.

## ს ო მ ხ ე თ ი

**მისტერ-ოლივერი უორდროპის წერილი, ალ. ხატისოვთან.**

ბრიტანეთის უმაღლეს კომისსარ ო. უორდროპისადმი მისულ ცნობებით, რომ სომხეთის წრეები, სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების დაგვიანებით შეწუხებულ არიან ბ. უორდროპმა იანვრის 15-ს წერილი გაუგზავნა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერს ალექსანდრე ხატისოვს.

პირადი. იანვრის 15 ს 1920 წელს ძვირფასო ბ. ხატისიან! მე შევწუხდი, როცა გავიგე თქვენგან, რომ თქვენი მემამულენი მღელვარებენ საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის de fakto-ს აღიარების გამო. ჩემის აზრით ამ ცნობას სულ სხვანაირი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა სომხებზე.

სომხეთის საკითხი დაკავშირებულია ოსმალეთის საკითხთან და ის გადაწყდება მაშინ, როდესაც ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულება გამოირკვევა. მანამდის კი მე არ შემიძლიან რაიმე ოფიციალური განცხადება სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ. იგივე ფაქტით, რომ საქართველო და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა ოფიციალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

„de facto“-და რის ცნობილი — იმის ნიშანია ეს, რომ სომხეთის ხალხს არავითარი საბუთი არ უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის შიშზე.

როგორც თქვენ უწყით, ჩემი ჩამოსვლისამებრ მე ისე ვეპყრობოდი სომხეთის საქმეებს, როგორც საქართველოს და აზერბაიჯანისას რასაც შემდეგშიაც ასევე განვაგრძობ. სომხეთის ხალხის უფლება თავისუფლებაზე ისე ხშირად საჯაროდ იყო ცნობილი მოკავშირე-სახელმწიფოებთა მიერ რომ მათ თავისუფლების de facto ს ცნობას ახლა სულ პატარა მნიშვნელობა აქვს და დღეს მხოლოდ საჭიროა რომ გამოიძებნოს ფორმულა, რომლითაც გამოცხადებული იქნება მისი აღიარება.

ჩემი აზრით, არავითარი საფუძველი არ აქვს თქვენს შიშს. ეს საქმე შეიძლება დარჩეს სრული ნდობით მოკავშირეთა ხელში იმ იმედით რომ სომხეთის ხალხის საკითხი გადასწყდება სამართლიანად.

ჯერ კი არ უნდა ითქვას რამე, რაც წინადვე გამოიწვევდა ნაადრევ ალტაცებას იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც იქნება მიღებული მოკავშირეთა მიერ.

გულითადი პატივისცემით
ო. უორდროპი

**ამერიკელთა შეწირულება.**

ამერიკელ Smith College-მა 300,000 დოლარი შესწირა მალათიაში (ხარბერდის ვილაიეტი) ობოლთა თავშესაფარის ასაშენებლად (Ken).

**სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ინგლისში**

ოვანეს-ხან მოსესიანი დაინიშნა სომხეთის მთავრობის წარმომადგენლად ლონდონში, ინგლისის მთავრობასთან.

**სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი იტალიაში**

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის სომეხთა რესპუბლიკის დელეგაციას მოუვიდა დეპეშა, რომ დანიშნული იქნას სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი რომში.

**გენ. ჰარბორდი სომხეთზე.**

სომხეთის დამოუკიდებლობის ამერიკული კომიტეტის პრესს ბიურო იუწყება შემდეგს:

„ნოემბრის 20 ს ლაიერის კლუბში ჯერარდმა ჰარბორდის პატივსაცემლად ნადიმი გამართა. დაესწრნენ კომიტეტის წევრნი, ჯემს მარტენი და სხვა მრავალი პოლიტიკური მოღვაწე.

გენ. ჰარბორდმა ნადიმზე გადასცა თავისი ახლო აღმოსავლეთში მგზავრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი და უპასუხა მას მიმართულ საკითხებს.

მისი აზრით ოსმალეთის სომხეთის არსებობა არ შეიძლება, რადგან იქ არ არიან სომხები, და რუსეთის სომხეთიც ვერ შესძლებს იმისთანა სახელმწიფოდ გახდეს, რომელს შეეძლოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს, უკეთუ გასავალი არ ექნება ზღვისკენ, ეს კი შეუძლებელია უკეთუ საქართველოსთან მჭიდრო კავშირი არ ექნება სომხეთს. შეერთებულ მანდატის ქვეშ, რომლის მამხრე იგი, ცალკე სომხეთი არ უნდა იყოს, მაგრამ ათი ოცი წლისა ან მეტი ხანის შემდეგ, როცა სომხები რიცხვით საკმაოდ გამრავლდებიან ერთს ადგილზე და შეადგენენ უმრავლესობას, მაშინ ეს ადგილი გადიქცევა სომხეთად. ჰარბორდის აზრით ის ერთი ადგილი, რომელიც ეხლავე შეიძლება აღიარებული იქნას, სომხეთად არის რუსეთის სომხეთი რუსეთის სომხეთიც კი ვერ შესძლებს თავისთავად ცალკე სახელმწიფოდ გახდეს, რადგან ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებაო. ჰარბორდის აზრით არ შეიძლება ოსმალეთის სომხეთში სომხების არსებობაზე ლაპარაკი, რადგან იქ საკმაო რიცხვიც არ არის სომხებისა. ოსმალეთში მყოფ სომხების დასაცავად საჭირო იქნება მანდატის მიღება სომხეთზე ანატოლიაზე და სტამბოლზე — თუ ამიერ-კავკასიას გამოვრიცხავთ. ამ პროგრამას თანხმად, ჰარბორდის ფიქრით. ამიერ კავკასია ახლად უნდა შეერთდეს ახალ რუსეთთან, და სომეხთა დანარჩენი ნაწილები, რომლებიც გაფანტული არიან ოსმალეთში, შეერთებულ მანდატის ქვეშ უნდა დაცული იქმნენ თურქებისაგან.

გენ. ჰარბორდმა სთქვა, რომ სომხეთის რესპუბლიკას ჰყავს 18,000 შეიარაღებული ჯარი, და ამახორებს 27,000 ბრძოლის ველზე სომხეთს შეუძლიან 30,000—40,000 კაცი გამოიყვანოს, და თუ კი ეს ძალა შესდგება იგი საუკეთესო იქნება ახლო აღმოსავლეთშიო. ქემალ ფაშას ჰყავს მხოლოდ სულ 35,000 კაცი, რომლებიც გაფანტულნი არიან სომხეთსა და ანატოლიაშიო“. („აზხატ“.)

# რ უ ს ე თ ი.

(საქ. დეპ. ს.)

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი, იანვ. 16.** სამხედრო ცნობები, იანვ. 15. ნარვის რაიონში ჩვენს მხარეზე 60 ჯარისკაცი გადმოვიდა. რიჟიცის რაიონში ბრძოლა გრძელდება. იაკობშტატის მიმართულებით, რკინის გზის ორივე მხარეზე ომი სწარმოებს. მოზირისა და ნოვოგრად ვოლინის რაიონებში ადგილობრივი ხასიათის შეტაკებებია. ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. უმანი და ნიკოპოლი. ჯარი წინსვლას განაგრძობს. მილიტოპოლის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ნოვოჩერკასკის რაიონში, აზოვ-სტაროჩერკასკაიას უბანში ბრძოლა სწარმოებს მდინარე დონზე გადასასვლელ ადგილებისათვის. ბრძოლის შედეგი ჯერ არ ვიცით. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ავიღეთ სადგ. კოტელნიკოვო და მტერი სამხრეთისაკენ უკუ ვაქციეთ. აქსაის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაამარცხა მტრის მესამე ყუბანის დივიზია და წამოიყვანა 500 ტყვე. მტერი სამხრეთისაკენ გაიქცა. სტანიცა ატამანსკაიას აღმოსავლეთით ჩვენ ავიღეთ სად. კისილევკა. გნოტაევის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა გადასწმინდა მტრისაგან ველი 190 ვერსის მანძილზე.

**ახალ კაბინეტის შემადგენლობა გენ. დენიკინთან**

მთავარსარდლის ბრძანებით მთავრობა შემდეგნაირად არის შედგენილი: თავმჯდომარედ დანიშნულია სამხედრო და საზღვაო მართველობის უფროსი ა. ლუკომსკი. ამასთან ახალ მთავრობაში შედიან: იუსტიციისა ვ. ჩელიშევი, ფინანსთა — მ. ბერნაცკი, ვაჭრობა-მრეწველობისა — ფეგინი და გენ. ტიხმენევი. თავისუფალ ადგილად რჩება შინაგან საქმეთა მმართველობის, რომლის დრ. გამგედ დანიშნულია გენ. მარტოსი და მომარაგების მმართველობის უფროსის ადგილი. უკანასკნელზედ უნდა დაენიშნათ ნ. სავიჩი, რომელმაც თანამდებობაზე უარი განაცხადა.

**თეატრები საბჭოთა რუსეთში**

საბჭოთა რუსეთში თეატრები კარგად მუშაობენ. თეატრალური საქმე განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული მოსკოვში. მცირე თეატრებში ხშირად იდგმება პრემიერები. უკანასკნელ პრემიერებიდან აღსანიშნავია „პოსადნიკი“ სუმბათაშვილ-იუჟინის და მსახიობ ქალის ერმოლოვას მონაწილეობით. დაიდგა აგრეთვე ანტიური ტრაგედია „ელექტრა“. დიდ თეატრში კარგა არის დაყენებული ბალეტი. ბალერინა ბანშოვას სიკვდილი მართალი არ გამოდგა. მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი კი დაქსაქსულია. საერთოდ სამხატვრო თეატრს, რევოლიუციის შემდეგ საქმე ცუდად წაუვიდა. ტრამვაიმ გასრისა სახელ-განთქმული ტრაგიკი მამონტ დალსკი. სიმშილისაგან თავი ჩამოიხრჩო მსახიობ სტახოვიჩმა. შეიშალა ბალერინა ფედოროვ სა. გარდაიცვალნენ: მირონოვისა, რუდნიცკი, პროფესორი მაზეტი. თეატრში ხალხი ბლომად დაიარება.

**ბოლშევიკების დავლა სამხრეთ ფრონტზე.**

საბჭოთა რადიოს გადმოცემით, ბოლშევიკებს 1919 წ. ქრისტ. 31-იდან იანვრის 9-დის დავლად დარჩენიათ სამხრეთ ფრონტზე 25,400 ტყვე, 650 ზარბაზანი, 50 ყუმბარის მფრქვეველი, 11 ტანკი, ორი ჯავშნოსანი ავტომობილი, 660 ტყვის მფრქვეველი, 175 ვაგ. და 30 ყუთი ტყვიებით სავსე, 2 მილიონამდის და აგრეთვე 30 ვაგ. ყაზნებით დატვირთული, 9 ჯავშნიანი მატარებელი, 250 ორთქლმავალი, 5,886 ვაგონი (უმეტესად დატვირთული) 1650 ცხენი, 8 ავტომობილი, 4 ჰაეროპლანი, 1 რადიოსადგური, 1 ავტოსახელოსნო, ბევრი ეშელონი სურსათით და სრულის მოსყობილობით.

# ა ვ ს ტ რ ი ა

**აჯანყება ბუდაპეშტში.**

(საქ. დეპ. ს.)

**იურიევი. იანვ. 13.** გაზ. „ფორვერტს“-ის ცნობით ქალ. ბუდაპეშტში 6000 სოც. იქმნა სიკვდილით დასჯილი. ქალაქის განაპირა ტყეებში მრავლად ხვდებიან ჩამოხრჩობილ კომუნისტთა გვამებს. მღელვარება ქალაქში კვლავ გრძელდება, ვინაიდან ხმებია რევოლიუციონერთა ახალი ახალი გამოსვლების შესახებ.

# ჰაერით მიმოსვლა ლონდონ-პარიზს შუა

ლონდონსა და პარიზს შუა ჰაერით წესიერი მიმოსვლის საკითხი უკვე მოწესრიგებულად შეიძლება ჩაითვალოს. ყოველ დღე ორი სწრაფ მფრენი ჰაეროპლანი ჰფრინავს ორივე დედა ქალაქებიდან და თან მიაქვთ სასწრაფო ქაღალდები.

პაკეტების ჩაბარების საქმეც ისეა მოწყობილი, რომ ლონდონიდან გაგზავნილი მივა პარიზში დანიშნულებისამებრ გაგზავნის წუთიდან სწორედ 5 საათის შემდეგ.

ლონდონში დილის 4 საათზე ჩაგდებული წერილის პარიზში მიღება შეიძლება დღის 4 საათზე; ამ დროის განმავლობაში სრული ორ ნახევარი საათი უნდება 250 მილის სივრცის გავლას, დანარჩენი დრო უნდება წერილის მიცემას, მიღებას და ჩაბარებას.

**უმავთულო ტელეგრაფის ახალი ცდა**

ამ ჟამად ერთი იტალიელი გეოდეზი პარიზში ახდენს მნიშვნელოვანს ცდას შორი მანძილის უმავთულო ტელეგრაფის გამოგონებისათვის.

# ახალი ამბები

## მთავრობაში

**პოლონეთის მადლობა**

პოლონეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგისაგან საქართველოს კონსულმა ოდესაში ბ-ნმა უშვერიძემ შემდეგი წერილი მიიღო:

„მე მაქვს რამდენიმე ცნობა არა მარტო სამინისტროს აგენტებისაგან, არამედ მრავალ კერძო პირთაგან, რომელთაც დააღწიეს თავი ოდესიდან, რომ თქვენ ენერგიულად და დაუღალავად იცავდით პოლონეთის მოქალაქეთ ბოლშევიკურ ტერორის დროს, რითაც ხშირად თქვენ სიცოცხლესაც საფრთხეში აგდებდით. ამიტომ ვისწრაფი, ბ. კონსულო, გიძღვნათ პოლონეთის რესპუბლიკის სახელით გულწრფელი მადლობა ყველა იმ დაუფასებელ სამსახურისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ უბედურ პოლონეთის ემიგრანტებს. იყავით დარწმუნებული, რომ თქვენი სახელი ყოველთვის მოხსენებული იქნება დიდ მადლობით ჩემ მემამულეთაგან რაც ხელს შეუწყობს პოლონეთ-საქართველოს კავშირის განმტკიცებას.

მიიღეთ ბატონო კონსულო რწმუნება ულრმესი ჩემი პატივის ცემისა.

**ჯარისა და გვარდიის უფასო წარმოდგენისთვის.**

იანვრის 6-ს მთავრობამ დაადგინა: სახელმწიფო თეატრში ჯარისა და გვარდიისათვის უფასო წარმოდგენების მოსაწყობად. განათლების მინისტრის განკარგულებაში ყოველთვიურად გადაედოს 15.900 მანეთი გადასახადთა. ინსპექციის ხარჯებისათვის გადაიდოს 18.994 მანეთი.

**საალყო წესების მოხსნა დუშეთის მაზრაში.**

იანვრის 15-დან დუშეთის მაზრაში მოიხსნას სამხედრო წესები და გაუქმდეს ამ მაზრაში საგენერალგუბერნატორო.

**გენ. ილ. ოდიშელიძე.**

გენერალი ილ. ოდიშელიძე დაინიშნოს სამხედრო მინისტრის ამხანაგად სამხედრო საბჭოში მინისტრის ადგილის თანამდებობაზე დაჰერით.

**ჯარისთვის.**

სამხედრო მინისტრს დაევალოს იმის გამორკვევა თუ რამდენად სისწორით და სისწრაფით იქმნა შესრულებული რესპუბლიკის სამხედრო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მიერ ჯარის შედგენა შევსების და დეზერტირობის საწინააღმდეგოდ გამოცემული კანონები და ბრძანებანი.

**მთავრობის თავმჯდომარესთან**

მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიას წარუდგნენ მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის საბჭოს წევრი ი. ანდრონიკაშვილი თავის ამხანაგ ირ. ფორაქიშვილთან ერთად, რომელთაც ვრცელი მოხსენება წარუდგინეს ბ-ნ ჟორდანიას ღვინის საზღვარ გარეთ გატანის არსებულ წესების მცხოვრებლების პირობებთა შეუფარდებლობის შესახებ და შაბიაბან-გოგირდზე ფასების დაკლების შესახებ. ბ-ნ ჟორდანიამ გულდასმით მოუსმინა მათ და ვრცლად გაეცნა ამ მოხსენებათა შინაარსს.

**გარეშე საქმეთა მინისტრთან.**

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ გეგეჭკორს წარუდგნენ მთიელთა რწმუნებული ბ. ჯაბაღიევი და საფრანგეთის მისიის წევრი პუადებუარი.

**ახალი ჟურნალი.**

მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის საბჭო ამ თვის ბოლო რიცხვებში გამოსცემს ჟურნალს „მევენახე და ღვინო.

**გორის მეღვინე-მევენახეებმა** შუამდგომლობა აღძრეს მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის საბჭოს წინაშე, რომ მათ უშუამდგომლოს საბჭომ გორის თვითმმართველობის მიერ გაწერილ სასანიტარო გადასახადის შემცირებაზე. გადასახადის რაოდენობა უდრის 150,000 მანეთს, დესეტინაზე თითქმის 2000 მანეთს.

**შინ. საქ. სამინისტროში**

**შუამდგომლობისათვის**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმ ერობების გამგეობებს, რომლებიც სესხს ითხოულობენ მთავრობისაგან შემდეგი აცნობა: 1) თუ სესხი ესაჭიროება ერობას წარსული წლის დეფიციტის დასაფარავად იმ შემთხვევაში ერობამ უნდა წარმოადგინოს ყველა გასამართლებელი საბუთები გაწეულ ხარჯებისა და ვალის რაოდენობისა; 2) თუ სესხი საჭიროა რაიმე სააშენებლო მიზნისათვის, იმ შემთხვევაში საჭიროა შუამდგომლობასთან ერთად ტეხნიკური გამოკვლევა და დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა; 3. თუ სესხი საჭიროა სათესლე ხორბლისათვის და სურსათის შეძენათ — ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოლაპარაკებას გამართავს მომარაგების სამინისტროსთან სესხათ ან ფულათ აწ სურსათის სახით მიცემის შესახებ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საჭიროებების თაობაზე შუამდგომლობა ცალცალკე უნდა იყოს აღძრული საჭირო მასალების თანდართვით. ის შუამდგომლობანი, რომლებიც არ დააკმაყოფილებენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას, უყურადღებოთ იქნენ დატოვებული.

## სხვა და სხვა ამბები

**დირიჟორ სტოლერმანის მიერ ცოლის მოკვლა.**

სახელმწიფო თეატრის ოპერის დირიჟორ სტოლერმანმა იჟვიანოზის ნიადაგზე რევოლვერით მოჰკლა თავისი ცოლი. უბედური შემთხვევა სტოლერმანმა საჯაროდ განაცხადა. შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა რათა საქმის გამოძიებამდე სტოლერმანს ხელი არ ახლონ.

**ტეხნიკურ ლექსიკონის გამო.**

ვინაიდან მოსალოდნელია ტეხნიკური ლექსიკონის მთელი გამოცემის ტფილისში გაყიდვა პასუხის მგებლობის და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამით ვცხადებს პროვინციელთა საყურადღებოდ, რომ საჭიროა ზემოაღნიშნული ლექსიკონი რაც შეიძლება საჩქაროდ დაიკვეთონ მისამართი: ტფილისი, დიდმთავრის ქ; № 70, პოლიტეხნიკური სასწავლებელი, ინჟ. ვ. კაკაბაძეს.

**ლაგოდეხის ერობის თავმჯდომარის დანიშვნა**

„საქართველოს რესპუბლიკი“ დრ. რედაქტ. აღმსრულებელი გრიგოლ მაჭავარიანი ლაგოდეხის ერობის თავმჯდომარედ დაინიშნა.

## კ რ ე ბ ე ბ ი

იანვრის 17-ს ტფილისის სასამართლო პალატის შენობაში საღამოს 7-ს საათზე შესდგება ქართულ იურიდიულ საზოგადოების საერთო კრება სადაც სენატორი დემიდოვი წაიკითხავს მოხსენებას „პასუხისგებაში მიმცემ კამერის დაარსების შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. აგრეთვე განხილულ იქნება მიმდინარე საკითხები. ვთხოვთ პატივცემულ წევრთ დაესწრონ კრებას.

## სასოფლო მეურნეობა

**აგრონომიული ყრილობა**

25 იანვარს თბილისში გაიხსნება საერობო აგრონომ მოღვაწეთა ყრილობა. საორგანიზაციო კომიტეტმა აირჩია ექვსი სექცია, რომელიც ყრილობისათვის მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებენ.

**ახალი ჟურნალი.** 25 იანვარს გამოვა პირველი ნომერი სასოფლო სამეურნეო ჟურნალი „მეურნე“.

**მიწადმოქმედების სამინისტრო** იმუშავებს სახელმწიფო მამულების თანხების მიცემის ახალ წესს.

**სასოფლო სამეურნეო წიგნები.** მიწათმოქმედების სამინისტრომ დასაბეჭდათ გადასცა და ახლო მომავალში გამოვა სასოფლო-სამეურნეო დარგიდან სხვადასხვა ქართული წიგნები.

## სამხატვრო ქრონიკა

**დავით კლდიაშვილის საიუბილეო** კომისიას ოთხშაბათ საღამოს მწერალთა კლუბში „ქიმერიონში“ ჰქონდა კრება, რომელსაც დაესწრნენ სახალხო სახლისა და ცენტრალურ და რაიონების მუშათა კლუბების წარმომადგენლები. კრებამ მოიწონა აზრი, რომ თუ 1 თებერვალს არ მოხერხდა სხვა თეატრებშიც იუბილეს გამართვა, იმ შემთხვევაში იგი თბილისის სხვა და სხვა რაიონების თეატრებსა და კლუბებში გაიმართოს შემდეგ დღეებში. პარასკევს, საღამოს სრულ 6 საათზე „ქიმერიონში“ გაიმართება სხდომა დავით კლდიაშვილის საიუბილეო კომისიისა. კომისია სთხოვს ყველა კლუბებისა, თეატრებისა, რედაქციებისა და ერობათა კავშირის წარმომადგენლებს ამ სხდომას დაესწრონ, განსახილველია მრავალი საყურადღებო საკითხი.

**ახალი ოპერა.** სახელმწიფო თეატრში სულ მალე დასდგამენ გლუხოვცევის ოპერას „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ოპერა პირველად იდგმება თბილისის სცენაზე. სიუჟეტი აღებულია ლეონიდ ანდრეევის ცნობილ პიესიდან. ოპერას თავის ბენეფისში დაიდგამს სახელმწიფო თეატრის ანტრეპრენიორი ს. ევლახიშვილი.

**რუსის მსახიობნი.** ბათომში ამ ჟამად თავი მოუყრია ბევრ რუსის მსახიობს, რომელნიც გამოქცეულან „დობროარმიიდან“.

**მ. თარხან-მოურავის ბენეფისი.** კვირას ახალგაზდა მომღერალის თარხან-მოურავის ბენეფისია. დასდგამენ ვერდის „ტრავიატა“-ს, რომელშიაც ბენეფიციანტი ჟორჟ ჟერმანის პარტიას შეასრულებს.

**ქართული საოპერო სტუდია.** დღეს სახელმწიფო თეატრში ქართული საოპერო სტუდია ჰმართავს წარმოდგენას. წარმოადგენენ დ. არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ამ ოპერაში სტუდიის მომღერლების მეორე წყება მღერის.

**კომპოზ. ვ. დოლიძის ავადმყოფობა.** კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე კომიკურ ოპერის „ქეთო და კოტე“-ს ავტორი ფილტვების ანთებით ავად გამხდარა.

## თ ე ა ტ რ ი

**დ ღ ე ს:**

**სახელმწიფო თეატრი** — „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

**„ტარტოს“ დრამა** — „ვაკხანკის ფეხქვეშ“.

**ქართული კლუბი** — საღამო ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად.

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. ბათომი**

როგორც ბათომის სამხედრო გუბერნატორი აცხადებს თავის ბრძანებაში, ბათომის ქალაქის ხმოსანთა არჩევნები მოხდება თებერვლის 29-ს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მცხოვრებთ როგორც მამაკაცს, ის ქალს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოების, თუ აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

1) თუ ხნოვანებით არიან არა ნაკლებ 25 წლისა.

1) თუ ბათუმში დასახლდნენ 1919 წლის თებერვლის 1-მდე, ცხოვრობდნენ ბათომში 1918 წლის აპრილის 1-მდე და სხვა და სხვა მიზეზის გამო დასტოვეს ქალაქი და დაბრუნდნენ ისევ 1919 წლის ღვინობისთვის 1-მდე.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე იმათ, ვინც ჰფლობს ქალაქ ბათომში უძრავ ქონებას და დაბრუნდა ქალაქში საარჩევნო სიების შედგენის დღემდე.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ: 1) სამხედრო სამსახურში მყოფთ. 2) ქ. ბათომის და ბათომის ოლქის უმაღლეს ადმინისტრატიულ პირთ, მათ მოადგილეთ და თანაშემწეებს. 3) ქ. ბათომის და ბათომის ოლქის მილიციაში მოსამსახურეთ და სანაპირო რაზმში მყოფთ, 4) ბერმონაზნებს, 5) შეშლილებს და ყრუმუნჯებს, 6) მათ, ვინც ქველმოქმედურ დახმარებით ცხოვრობენ და 7) ვინც ცხოვრობს მათხოვრობით.

— ქართული ბონები 300 პროცენტით და მეტითაც ფასობენ დონის ფულთან შედარებით.

**ქ. გ ო რ ი.**

კვირას, დილის 11 საათზე გორის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დამტკიცების გამო შესრულდება ხმიანი სამადლობელო წირვა.

**ქ. თ ე ლ ა ვ ი.**

კურდღელაურის თემში (კურდღელაური, ზემო და ქვემო, შალაური, ვარდისუბანი და გულგალა) ადგილობრივ გლეხის სოც.-დემ. ლაზარიაშვილის განკარგულებით დაჰკეტეს ეკლესიები: შალაურისა, ვარდისუბნისა და კურდღელაურისა. შობა დღეს წირვის მოსმენის მსურველი სოფლები უწირვოდ დარჩნენ.

## საქართველოს აღდგომა

ქართველი ერი, რომელიც 117 წელიწადი იტანჯებოდა მონობის ბორკილებში, დღეს აღსდგა; მან შესძლო დამსხვრევა იმ საშინელი მონობის ჯაჭვისა, რომელითაც იყო ის დღემდე შებორკილი. ქართველი ერი დღეიდან იწყებს სრულ უფლებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას, რასაკვირველია, როცა ხალხი რომელიც დამოუკიდებელია და ეკუთვნის საკუთარ თავს ის ყოველთვის მარჯვეა და ბედნიერი, ის ცხოვრებაში მეტ ენერგიას გამოიჩენს, სანამ ბატონის ქვეშ. და აი საქართველოც ეღირსა იმ ბედნიერებას. ის დღეს სრული ბატონპატრონია თავის თავისა. მას საკმარისად ჰყავს სახელმწიფოებრივი საქმეების ისეთი მცოდნე პირები, რომლებსაც შეუძლიანთ მიიყვანონ თავისი საყვარელი სამშობლო თამარის ოქროს ხანამდე, მაგრამ ამისთვის საჭიროა გაერთიანება მათი, დავიწყება ყოველგვარს პირადი ინტერესებისა და პარტიული კინკლაობისა, ვინაიდან სამშობლოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ სულის კვეთებაშია და არა სოციალისტურ მიმართულებაში. საქართველო დღეს ავადმყოფობიდან განკურნებულ კაცსა ჰგავს. ჯერ ავიყვანოთ ის ეროვნულ მისწრაფების უმაღლეს წერტილამდე, გავამაგროთ ამ სახით ის და შემდეგში თვით ბუნება მოაწყობს მის გზას. ამიტომ დღესვე ჩავდგეთ სრულ ეროვნულ ფარგალში, მოვაწყოთ სახელმწიფო ჩარხის ტრიალი ეროვნულ მხრისაკენ. გავსწმინდოთ სახელმწიფოს ყველა დაწესებულებები უცხო ელემენტისაგან, შევქმნათ მრავალი ჯარი, ჯარი ეროვნული და თავდადებული სამშობლოსათვის, ავამაღლოთ ვაჭრობა-მრეწველობა, ავამუშაოთ ფაბრიკა-ქარხნები, მივყოთ ნელ-ნელა ხელი ჩვენი სიმდიდრე მადნების ამოღებას და თუ ყველა ამას არ განვახორციელებთ, იმ შემთხვევაში, ვიცოდეთ, რომ არამც თუ თამარის ოქროს ხანას, არსებობასაც ვერ შევსძლებთ.

ჩვენ უნდა შევერთდეთ, განვიმსჭვალოთ ერთეულ ეროვნულ მსვლელობით და ხელი-ხელში ჩაკიდებულებმა ერთხმად დავსძახოთ:

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ერს!..

ქ. მარტვილელი.

## დამოუკიდებლობის დღესასწაული აზერბაიჯანში

**გაზ. „აზერბაიჯანი“ დამოუკიდებლობის შესახებ.**

გაზ. „აზერბაიჯანი“ სწერს:

„აღსრულდა... ტელეგრაფმა მოიტანა სასიხარულო ამბავი, რომ დიდი ხნის მერყეობის, თანხმობის შემდეგ, ანტანტამ თავის უმაღლეს საბჭოს სახით ფაქტიურად აღიარა საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა.

ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, კალეიდოსკოპიურ სისწრაფით მიმოსვლელ გარემოებებში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა ძლივს მიაღწიეს ნანატრ იდეიას და თამამად შეუძლიანთ აღიარონ, რომ მათ მიერ გაღებულ მსხვერპლმა უქმად არ ჩაიარა და ნათელმა პოლიტიკურმა შემეცნებამ თავისი შედეგები გამოიღო.

ამიერიდან აზერბაიჯანის და საქართველოს რესპუბლიკები შედიან საერთაშორისო ოჯახში. მეგობართა და მტერთ ის დასკვნა გამოიტანეს, რომ ფაქტებთან შებრძოლება იქნებოდა დონკი-ხოტობა და ჩვენ დავინახეთ რომ დენიკინის სარდლობის სურვილი ჩვენ დამოუკიდებლობის ცნობაზე — მოჰყვა წინადადება საბჭოთა მთავრობისა, რომელიც მომასწავებელი იყო იმის, რომ ისინი ჩვენ სახელმწიფოს ანგარიშს უწევენ, როგორც სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ანტანტას მიერ, ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა არის უკანასკნელი გადამწყვეტი ჯაჭვი — რომელიც ნაკარნახევია თვით ცხოვრებით. ერთხმიანი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იყო სრულიად მოწინააღმდეგე დიდ ერთეულების გამო, მოწმობს იმას რომ ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო ფაქტიურ აუცილებლობით, ვინაიდან ახალგაზდა რესპუბლიკები მცირე ხნის განმავლობაში გაიზარდნენ იმ ძალად, რომლისათვისაც არ შეეძლოთ რომ არ გაეწიათ ანგარიში.

**აზერბაიჯანის დღესასწაული დამოუკიდებლობის ცნობის გამო**

პოლკოვნიკმა ჰასკელმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრ-თავმჯდომარეს გაუგზავნა შემდეგი მისალოცი დეპეშა

„გისურვებთ ჩემ გულწრფელ სალამს და საუკეთესო სურვილებს მომავალ აზერბაიჯან აყვავებისთვის მახკელი".
**მაჰმადიანთა და ქრისტიან ქართველთა ეროვნულ საბჭოს დეპეშა აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარესადმი**

მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ეროვნული საბჭო მოგილოცავთ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოთა მიერ საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ალიარებას.

ამიერიდან ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის სამუდამოდ დამყარდება ძმური კავშირი აზერბაიჯან-საქართველოს შორის. გაუმარჯოს დამოუკიდებელ აზერბაიჯანს და საქართველოს"

საბჭოს თავმჯდომარე **მამედ ბეგ აბაშიძე და გრიგოლ ელიავა**

**ქ. ბაქო დამოუკიდებლობის ალიარების დღეს**

იანვრის 12-ს მშვენიერ სურათს წარმოადგენდა აზერბაიჯანის სატახტო ქალაქი. სახლები მორთულ ალმებით და ძვირფას ხალიჩებით. ქუჩები გავსებული იყო ხალხით. ყველას სახეზე დიდი სიხარული ეტყობოდა. ყველა სავაჭრო სახელმწიფო დაწესებულებები დაიკეტა იმ დღისთვის.

# საფლავნიც კი ხხარობენ

ვინ სთქვა—ბედნიერება არ არსებობს ამ ქვეყნადაო?

ამის მთქმელი შეიძლება დიდი ფილოსოფოსიც იყოს, მაგრამ, ეტყობა, მაინც კაცი ყოფილა.

განა ბედნიერებას განიცდის ეხლა ყოველი ქართველი?

სიგრძე და სიგანე ამ ბედნიერებისა უდრის სიღრმეს იმ უბედურებისას, რომელსაც განიცდიდა ქართველ სლავიანთაგან დადებულ ბორკილის სიმძიმის ქვეშ.

და მე ამ საზოგადო ზეიმის დროს არ მინდა დავიჯერო არარაობა ადამიანისა; მსურს ვიწამო, რომ ჩვენ ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის თავდადებულნი, ამ ჟამად მიცვლილნი იგრძნობენ დღევანდელ დღეს და სიამოვნების ღიმილს მათ სახეზე ვერ წაშლის სიმძიმე მიწისა.

მე, რომელსაც არას დროს არ მქონია სურვილი გაციებულ საფლავთა წინაშე მუხლის მოყრისა, მწყურია, მოწიწებით სალამი ვუძღვნა ჩვენ წინაპართ და მადლობა მოვახსენო მათ იმ ეროვნულ პოტენციის შექმნისათვის, რომელმაც წალეკა ყოველნაირი დაბრკოლებანი და დღევანდელ ქართველს აღადგენინა განაწამები საქართველო.

დიახ, ამ ჩემს წყურვილს მე დავიკმაყოფილებ. მამა-დავითი, დიდუბე, მცხეთა და სხვა შორს არ არის.

მაგრამ რა ვუყო, როგორ დავიკმაყოფილო ამნაირივე წყურვილი, როგორ მოვიყარო მუხლი უუკეთილშობილეს ადამიანის, მისს მდუმარე, მაგრამ ქართველისთვის ბევრის მეტყველ საფლავის წინაშე? ის ხომ შორსაა, ძლიერ შორს.

მაგრამ რას ვამბობ?

განა ქართველისთვის შორსაა მისს უორდროპის საფლავი? განა ქართველის გულში არ განისვენებს იგი? განა არსებობს ქართველი, რომლის თვალთა წინაშე ამ ბედნიერების დღეს არ ვიდოდეს სახე, ბრწყინვალე სახე მისი?

განა ის ადამიანი, რომელმაც თურმე ანდერძად დასტოვა—ჩაეტანებინათ მისთვის საფლავში მარტო ქართველების მიერ მიტანილი გვირგვინი ოდესმე მოკვდება საქართველოსათვის?

არასოდეს, ვინაიდან პატიოსან გვამთან ერთად დასაფლავებული გვირგვინი, მისს უორდროპის გულით გამთბარი, ინგლისის მიწის მიერ იქმნა ისე მოვლილი რომ იგი იქცა დიად, ძლიერ ხედ, სიმბოლო—ხედ საქართველოს მდგომარეობისა, რომლის მნახველს არ შეეძლო არ ეგრძნო საქართველო, არ შეეყვარა იგი. და, აი, მისს უორდროპის სამშობლომ აკი აღუსრულა სურვილი თვის კეთილშობილ მამულიშვილს. ინგლისმა დასცა დასტური შოთას სამშობლოს დამოუკიდებლობას.

ყოველი ქართველი ამიერიდან უკუნისამდე ნიშნად ღრმა პატივისცემისა ხატადატარებს მისს და მისტერ უორდროპის სახეთ გულის სიღრმეში, ხოლო იმ ოჯახს, რომელმაც მისცა საქართველოს იშვიათი და-ძმა, უსურვებს დღეგრძელობას და კეთილდღეობას...

ცხადია, საქართველო შესძლებს ზემოხსენებულის გარდა კიდევ სხვა რამითაც აღნიშნოს თვის მეგობართა ღვაწლი, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, კარგი იქნებოდა ერთ-ერთ ქუჩასა და სკოლას დარქმევოდა მისს უორდროპის სახელი.

დეე, გაიგონ ჩვენმა შვილებმა 14 იანვარს დამფუძნებელ კრებაში ბ-ნ აკ. ჩხენკელის მიერ გადმოცემული ამბავი (გვირგვინის საფლავში თან ჩატანების შესახებ), რომელიც თვისი ფეერიული სილამაზით უდრის ლეგენდა-ზღაპარს.

# პატარა ფელეტონი

**ყველაფერი ისე არ ხდება—როგორც ჩვენ გვინდა**
**(ზღაპარი)**

შუაღამე იყო. ვერცხლის ფერი, ნაზლის მზავსი მილეული მთვარე სუსტად აბნევდა სინათლეს. ზღვიდან გრილი სიო მოჰქროდა. მძიმედ ირხეოდა ლოტოსი. მიწყნარებული იყო გქვეყანა. ყველასძინა.

არ ეძინა მხოლოდ ორ არსებას.

მშვენიერ სასახლეში, საუცხოვო აბრეშუმის ქსოვილთა ბალიშებზე, ძვირფას დაფენილ ხალებზე იწვა ასული მეფისა. ფეხქვეშ ეჯდა მხევალი ქალი.

— გუქა, მიამბე ზღაპარი. ჩემს თვალებს ჯერ ძილი არ ეკარება.

— მეფის ასულო! რა გიამბო ისეთი რომ შენ გასიამოვნო. მე ალარაფერი ვიცი-რა. რაც ვიცოდი ყველაფერი გიამბე.

— არა. არა მჯერა. მე ვგრძნობ, რომ შენ ტანჯულ გულში კიდევ ბევრი ზრახვა იქნება დამარხული! მიამბე, გადმიშალე შენი გულის წყლულები, შეგიმსუბუქდება კაეშანი, დარდი-ვარამი.

— მბრძანებელო! გიამბობ უცნაურ ამბავს. სიმართლეს.

— მიამბე. ყურს გიგდებ გუქა.

და გადაწვა ქალი ნებიერი ბალიშებზე, ძვირფას სარეცელზე. ხელები თავქვეშ ამოილაგა. თვალებით მოკიაფე ვარსკვლავთ მიაჩერდა.

— ინდოეთში სცხოვრობდა ერთი მეფე დაიწყო გუქამ-მას ჰყავნდა ერთად-ერთი ვაჟიშვილი. სახელად ერქვა აიოლლო. ახალგაზდა ჭაბუკს ძალიან უყვარდა ნადირობა. მეფის შვილი სულ ნადირობაში იყო გართული. მარტო ამაში ატარებდა ყმაწვილი დროს.

მამა ბევრსაც უშლიდა, ბევრსაც ტუქსავდა შვილს, რომ მას ნადირობა მოეშალა, რათა ხიფათი რამ საშიში არ შემთხვევოდა სახელგანთქმულ დიადი ქვეყნის მფლობელი მეფის ერთად ერთ მემკვიდრეს

მეფის გული არ იყო მოსვენებით. რალაცა მძიმე ფიქრები ელტვოდნენ მის გვირგვინოსან შუბლს. თავის ვაჟიშვილს განეცხადებინა რომ თავის მამის სიკვდილის შემდეგ უარს ამბობს ტახტზე ასვლაზე. არ დაიდგავს გვირგვინს დიდებულს.

— მეფის შვილი მეფობაზე უარს ამბობს?! კვირობდა ხალხი.

მეფეს კიდევ ჯავრი მოსდიოდა. აღარ იცოდა რა ექნა. სხვა შვილიც აღარ უჩნდებოდა. თავისი წელთა სიმრავლე აღარავითარ იმედს აღარ აძლევდა.

ერთხელ როდესაც მეფე ჩვეულებრივ განმარტოებით იჯდა და მწარე, სევდით სავსე ფიქრებს მისცემოდა, მასთან მივიდა მისი მეუღლე. ხელი მხარზე დაადო და შეეკითხა:

— რადა ხარ ხელმწიფეო ჩემო ნაღვლიანი. რად აკრავს შენ სპეტაკ შუბლს ჰმუნვის ღრუბელი?

— დედოფალო მშვენიერო! რაღა მქვს სამხიარულო. სახელმწიფო მედუპება.

აიოლლო, ჩემი ლვიძლი შვილი, ჩემი ერთად-ერთი მემკვიდრე უარს ამბობს სამეფო ტახტის მიღებაზე. ხალხი სასოწარკვეთილებაშია.

— მეფეო! მოდი სცადე კიდევ მოიწვიე მთელი ქვეყნის ბრძენნი და ნასწავლნი. გამოსთხოვე რჩევა, გვიშველონ, გვასწავლონ რამე. იქნება შვილი გვეყოლოს. ვაჟი გაგვიჩნდეს. აშორდება ხალხს თავიდან უბედურობა საშინელი.

— შენი რჩევა მომწონს დედოფალო! უკანასკნელად კიდევ ვცდი არაერთხელ ნაცად საშუალებას, მაგრამ ყოველთვის უქმად ჩავლილს. ღმერთო ძლიერო! რა შეგცოდე რომ ასე სასტიკად დამსაჯე. რა უყო ჩემს ხალხს ვის მივანდო ჩემი სახელმწიფო? ვის დაულოცო ქვეყანა დიადი? ვინ იქნება მისი პატრონი?

მეფემ მიჰმართა კიდევ ძველთა-ძველ ჩვეულებას მართლაც ნატვრა აუსრულდათ.

გავიდა მცირე ხანი. მეფე გამხიარულდა. ისევ დაიწყო ნადიმობა, სიმხიარული, ზეიმობა. ერთი თვის შემდეგ ელოდებოდა ვაჟიშვილს. მეფე და დედოფალიც დარწმუნებული იყვნენ რომ უსათუოდ ვაჟიშვილი გაუჩნდებოდათ.

ასეთი იყო თილისმა.

რწმენა.

მიცემული იმედი.

მიიწურა დღეები.

ნატვრა აუსრულდათ. მაგრამ რომ არ ასრულებოდათ ის ერჩივნათ.

დედოფალს ეყოლა უცნაური შვილი. თავი ადამიანისა ჰქონდა ხოლო ტანი ეშმაკისა, ფეხები და ხელები უფრო რალაცა საშინელ ნადირისას ჰგავდა ვიდრე ადამიანისას. ტანზე პატარ-პატარა რქები ჰქონდა გამობმული.

სასოწარკვეთილებას მიეცნენ მეფე დედოფალი. სწყევლიდნენ ქვეყანას, ბრძენსაც, ნასწავლსაც, თილისმასაც.

მაგრამ რას გააწყობდნენ. უცნაური არსება მაინც შვილი იყო და უნდა აღეზარდათ.

მთელ სახელმწიფოში ისეთი ჭირი გაჩნდა რომ ხალხს სულ მუსრს ავლებდა. ზოგის დამარხვასაც ველარ ასწრობდენ. ჰაერი მოიწამლა. ხალხი დრტვინავდა, შვილას თხოულობდა.

მეფემ გაგზავნა რჩეულნი მკითხავთან, თუ რით გადაერჩინა ხალხი უბედურებისაგან. მკითხავმა უთხრა მათ რომ უბედურობა თვით მეფის სახლში არისო.

მიხვდნენ ვინც იყო უბედურობის მიზეზი.

ერთს წამსაც ალარ აცოცხლეს უცნაური არსება.

რამდენიმე დღე ძლივს გავიდა რომ ჭირიანობა სრულიად მოისპო.

მეფეს შვება მიეცა.

მაგრამ დიდი ხანი არ გასულა რომ ერთ უბედურებას მეორე უბედურება მოჰყვა ზედ.

ერთ დღეს დილით მეფის შვილი აიოლლო ჰალაში ნახეს მკვდარი. გული ვეფხვისაგან ჰქონდა გამოლადრული. ეტყობოდა ნადირობის დროს შებრძოლოდა მხეცს და მისი ძალმომრეობის მსხვერპლი გამხდარიყო.

მწუხარებისაგან გულმოკლულმა მეფემ მიიხმო ხალხი და განუცხადა.

— ხალხო, ქვეყანაზე მეფეც უბედური ყოფილა. ისიც უძლურია. მის ხელთ ქვეშ არა ყოფილა ძალა-უფლება. ყოფილა, არის და იქნება კიდეც სხვის უხილავ ძალის გამგებლობა, ძლიერება. რა არის ჩვენი ცხოვრება თუ ყველაფერი ისე არ ხდება—როგორც ჩვენ გვინდა?! მე ამიერიდან უარს ვამბობ მეფობაზე და ჩემს სამეფოზედაც ხელი ამიღია.

და დაულოცა მეფემ თავისი ბრწყინვალე გვირგვინი ხალხს ბედნიერს.

**ვახტანგ გარრიკი.**

# პედაგოგიური წერილები

მეტად პასუხისაგებია მასწავლებლის მოვალეობა. სამი ოთხი გაკვეთილის მიცემით არ თავდება მისი ზნეობითი მოვალეობა. ის უნდა ზრუნავდეს თავის მოწაფეებზე გაკვეთილის გარეშეც. ყმაწვილები ისეთ გარემოებაში უნდა ამყოფოს გონებით, რო მთელი თავის არსებით ყოველ დროს სკოლას და მასწავლებელს არ უნდა შორდებოდნენ. მარტო მაშინ ასცდება მოზარდი თაობა ქუჩის გავლენას და ათასნაირ ხიფათს. თავის მოწაფეთა საკეთილდღეოდ. სკოლის ბედი და უბედობა, მისი აყვავება და ძირს დაცემა მარტო მასწავლებლის პიროვნებაზე და მის მიერ მიცემული გაკვეთილების ღირსებაზეა დამყარებული. ვერც პროგრამმების სიკარგე, ვერც სახელმძღვანელოების სისრულე და ვერც მინისტრ-ადმინისტრაცია ოდნავადაც ვერ გააუმჯობესებს სწავლა აღზრდის საქმეს, თუ მასწავლებელი უხეიროა. მასწავლებლის პიროვნება და გაკვეთილების თვისება ქვაკუთხედია სკოლისა. მასწავლებელს ხალხი ოსტატს ეძახის. თუ მასწავლებელს მოწოდება არა აქვს მას დიპლომში ვერ უშველის, ის კაცის მკვლელია.

პედაგოგს დიპლომი გაკვეთილებმა უნდა მისცეს და მოსწავლეთ სიყვარულმა დაადასტუროს. უამისოდ მასწავლებელი მწვალებელია. ის შემზარავი მოვლენანი, რომელნიც დღევანდელს სკოლას ასურათებენ, თავის სიგრძე სიგანით მასწავლებელთ უხეირობაზეა დამყარებული. და მრავალი უბედურება ჰყვება ამას შედეგად.

პედაგოგი გაკვეთილებში იღებს სასყიდელს, მასწავლებელი მოსწავლეთ და მათ მშობელთ ეცნობა გაკვეთილების მეოხებით, მსჯელობს გაკვეთილების შესახებ. გაკვეთილების საშუალებით აწვდის მოზარდ თაობას სწავლა-განათლებას, გაკვეთილებზე იწურთნება და მუშავდება. ყველაფერი გაკვეთილის გარშემო ტრიალებს და დღეს ეს გაკვეთილი აშკარად არის აგდებული. წინათ გაკვეთილი ერთ საათს გრძელდებოდა და მაშინაც ძლივს ვასწრობდით დანიშნულ მასალის გავლას. მერე ორმოცდაათ წუთზე ჩამოვიდა, შემდეგ ორმოცზე და დღეს ნახევარ საათსაც არ გრძელდება. სწავლა ცხრის ნახევარზე იწყება და ორის ნახევარზე თავდება.

გაკვეთილი ღერძია, რომლის გარშემო უნდა ტრიალებდეს სკოლაში ყველაფერი. გაკვეთილები სული და გულია და სიცოცხლის ჩამბერავია სკოლისა. გაკვეთილი წმიდა საიდუმლოდ უნდა იყოს მიჩნეული ღვთის ტაძარში შეხრულებული. გაკვეთილის დროს მოწაფე და მასწავლებელი ერთნაირ მადლით უნდა იყვნენ აღავსე.

ჭეშმარიტად მასწავლებლობა ძნელია და არც არავინ უნდა იკისროს იგი ლუკმა პურის შოვნის ინტერესით და არ ჩადგეს ამოდენა უმანკო მოზარდთა ცოდვაში.

შედეგი ამ ხელობის აშკარად აგდებისა მალე არ გამომჟღავნდება.

ერი თავის პედაგოგთა უხეირობას მთელი მოდგმის შემდეგ იგემებს ხოლმე. მასწავლებლის დამფასებელი საზომავი მარტო მისი პიროვნება და მის მიერ მიცემული გაკვეთილებია.

ყველა უწყებას ყავს თავის სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირები და ჩვენ კი კურსებზე და ლექციებზე შემთხვევით ხალხი ბევრი მოგვეპოვება. დიპლომიანები სპეციალისტ ინსტიტუტელ-სემინარიელებს გვერდა უცქერიან. თავის დღეში არ დამავიწყდება.

გაკვეთილების ავ-კარგიანობა დიდი საიდუმლოებითაა არი მოცული.

ჩვენთვის გაკვეთილებზე დასწრება მაინც არაა საჭირო, რომ ვიქონიოთ დაახლოებითი წარმოდგენა მათ ღირსება-ნაკლულევანებაზე.

აი პირველი საფეხურის კლასები საშუალო სკოლისა. სწავლა გათავებულია. მოსამსახურე ორგულად გვის. კედლებზე არავითარი სურათი არ მოჩანს. რაიმე მოდელს, კოლექციებს და სხვა თვალსაჩინოების მაჩვენებელს ვერაფერსა ვხედავთ. ცხადია ამ პირველ საფეხურზედ თვალ-საჩინოებას და ნამეტურ თვალ-საჩინო გაკვეთილებს, როგორც სავანს, ალაგი არა აქვს. მაშასადამე სწავლა განყენებულია სულ პედაგოგიის წინააღმდეგ. გარეგან გრძნობათა ვარჯიშობა, ყურადღება-დაკვირვების წრთვნა, თვალ მოქმედების, ლოღიკურ მსჯელობის, დედა ენის და მეტყველების განვითარებას მოკლებულნი არიან. ამათი უარყოფა მაღალკლასებში და თვით ცხოვრებაში ცხადდება. საქმისადმი ორგულობა, ცელლუტობა, სიზარმაცე, ზერე-ქვერეობა, ქარაფშუტობა და ბევრი სხვა აქ ისახება. ეხლა მაღალ კლასებში შევიაროთ აქაც პარტებისა და დაფის მეტი არაფერი გვეუწნება, რომ ეს სასწავლო ოთახია. პარტები დასახიჩრებულია. ზოგან რა ამოჭრილი და ზოგან რა. რამოდენიმე პარტას ხევით ფიცარი ოროლი გოჯა სიგრძე სიგანით ამოჭრილია მომაბეზრებელ გაკვეთილზე, იმ მიზნით, რომ წერის დროს მასწავლემ ივის თავი მოატყუოს და მასწავლებელს თვალი აუხვიოს და შეცდომაში შეიყვანოს. კედლებზე მთელი ნუსხაა უღვლილებათა და ბრუნვათა უცხო ენების სიტყვებისა. რომ გაკვეთილები ნორმალურად მიდიოდეს არაფერს ამებს ალაგი არ ექნება.

შევიხედოთ კარების მინაში სწავლის დროს და ამაში დავრწმუნდებით. მასწავლებელი კლასში შევიდა, გავიდა რამდენიმე წამი და ჯერაც დისციპლინა ვერ აღადგინა. მეორე ოთახში, თუმცა გაკვეთილი დაიწყო, მაგრამ ზოგი სწერს, ზოგი კითხულობს, რამოდენიმე ერთათ შეჯგუფულა და რალაცას ლაპარაკობენ, იცინიან და ლაზლანდარობენ. მასწავლებელს გაუყვანია ერთი მოსწავლე კათედრასთან და გაკვეთილს ჰკითხავს. ზოგი გადის, ზოგი შემოდის. მესამე ოთახიდან ყიჟილ-ხივილი ისმის თითქოს შიგ მასწავლებელი არ არისო. შიგ კრა. დირექტორი გზავნის კაცს, გაიგეთ, რომელი მასწავლებელი არისო.

ეს მკრთალი სურათიც კმარა, რომ უტყუარათ დავადასტუროთ ეხლანდელი გაკვეთილების უვარგისობა. მას გაჯანსაღება უნდა, მაგრამ როგორ და რა გზით.

ხსნა დავადებულ გაკვეთილების განკურნებაშია. მათი გარდაქმნა სისტემატიურათ შემოღებულ სანიმუშო გაკვეთილებს და მათ ბეჯითად გარჩევას შეუძლიან. ეს არის მასწავლებელთათვის ბურთი და მოედანი ცოდნა გამოცდილებისა.

იმავე საღამოს, პირველ შეხვედრისთანავე, ირჩევა მიცემული გაკვეთილი. მისი მიმცემი იძლევა ვრცელ მოხსენებას თავის გაკვეთილის შესახებ. განმარტავს გეგმას და კონსპექტს გაკვეთილისას, მოახსენებს კრებას, თუ რა მეთოდით გაატარა გაკვეთილი და რა დიდაქტიური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. რა შეცდომა ჩაიდინა და მიახწია მიზანს თუ არა და რა მიზეზით, როგორ დაიწყო გაკვეთილი და როგორ გაათავა. შემდეგ ასსისტენტები რიგ-რიგად იძლევიან შენიშვნებს და ასაბუთებენ პედაგოგიურ მოსაზრებით თავიანთ შეხედულებას რისთვის უნდა ყოფილიყო ეგრე და არა ისრე. ყოველ შენიშვნაზე მოწინააღმდეგე პასუხს აძლევს, ან ეთანხმება. ამნაირად იმართება აზრთა შეჯიბრება. ეს ისეთი სახალისო საქმეა, რო ვინც ოდნავათ დაინტერესებულია პედაგოგიურ მოღვაწეობით ნასიამოვნები გამოვა კრებიდან. ყოველი კამათი ბოლოვდება თავმჯდომარის რეზიუმეთი. მსჯელობა-გარჩევა და თვით გაკვეთილის მსვლელობა პედაგოგიური ჟურნალის საშუალებით ეცნობება პედაგოგთა სამეფოს.

წლის თავზე უდიდეს ნაყოფს ვიხილავთ ამნაირ გაკვეთილებიდან, როგორც მოსწავლენი, ისე მასწავლებელნი და თვით საქმეც საუცხოვო ხდება.

**ძმუიხელი.**

რედაქტორი:
**„სარედაქციო კოლეგია"**
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.


დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**ჩალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებ- მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

მედ' ცინის დოქტორი
**გ. ა. ახვერდიევი**
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და საფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1, 50—2559—3

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
**გ. გ. მეჰრაბიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში.. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პრევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის ალექსანდრა დავითის ას-ბეჟანიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიუ"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

**საექიმო კაბინეთი**
**ექ. ქ. ტყეშელაშვილისა**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოთს- (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა საათ 25—2536—1

# ქართული სამუსიკო სკოლა
## ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა

მისაღები გამოცდა: როიალის, სიმღერის, ვიოლონჩელის, სკრიპკის, ჩასაბერ ინსტრუმენტების და თეორიის კლასში დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდის.

**მასწავლებლებად ითვლებიან როიალის კლასში.**

1) მ. მ. ავალიანი, 2) თავ. ხელ. ე. გ აბელაშვილი ყარანგოზიშვილისა, 3) ო. მ. ბერგ-პივო-ვაროვისა, 4) თავ. ხელ. ლ. დ. ვოლგმანის, 5) თავ. ხელ. ს. ს. კარაკაშ, 6) ნ. ვ. კალაშნიკოვასი, 7) თავ. ხელ. ე. გ. ქიქოძე, 8) ე. ი. პოლტარაცკაია პალატოვისა, 9) თავ. ხელ. რ. ე. ხოსროევისა.

**ვიოლონოს (სკრიპკის) კლასში.**

1) თავ. ხელ. ა. ნ. ყარაშვილი, 2) თავ. ხელ. ი. ი. ფიშბერგი, 3) თავ. ხელ. ვ. ა. მეტელნიკოვისა.

**სიმღერების კლასში**

1) ა. ი. ჯაყელისა, 2) ვ. ი. კირილოვისა, 3) რ. ნ. პოლიაევი, 4) პროფესორი ე. კ. რიადნოვი, 5) ო. ა. შულგინა.

**ჩასაბერ ინსტრუმენტების კლასში**

ფლეიტის კლ.—ფიდელმანი, გობოის კლ.—ა. ი. გროშევი, კლორნეტის კლ. შაინერი, ფაგოტას კლ,—ნაიმანი.

**საოპერო სტუდიის კლასში.**

ს. ა. სტოლერმანი. მასწავლებლად ითვლებიან თეორიის და კომპოზიციის კლასში. თავ. ხელ. ი. ს. აბაშიძე (ქართ. განყოფილება). დ. ე. არაყიშვილი (რუსული განყოფილება) სხვა სპეციალურ საგნებისათვის მოწვეულნი არიან ახალი მასწავლებლები. იქნება საოპეროკლასი. სწავლა დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან დროიდან.ჩვეულებრივი

# „მეოცნებე ნიამორები"
**წიგნი მესამე.**

**შინაარსი:**

გ. რობაქიძე—ვასაკა, ტ. ტაბიძე—ფატმან ხათუნი, შ. ამირაჯიბი—მწვანე კაკალუ, ვ გაფრინდაშვილი—ზამთრის დაისის დასვენება, კ. ნადირაძე—ყალბი ავტობიოგრაფია, ნ. მიწიშვილი—სამგლოვიარო მარში, რ. გვეტაძე—სევდის ფარმანდი, შ. კარმელი—ბოდლერის ოფორტი, ს. ცირეკიძე—მოზაიკის ღვთისმშობელი, ს. კლდიაშვილი—ევა ტაძარში, დია ჩიანელი—სევდიანი ფრაგმენტი, ვ. გაფრინდაშვილი—შენიშვნები ლირიკაზე, ს. ცირეკიძე—სათაური პოეზიაში და ლ. გუდიაშვილი—ყუა (ნიამორიბი)

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

**იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი**
# „შვიდლოსანი"

მონაწილეობენ: შალვა ამირაჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ევრეინოვი. პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა. შ. კარმელი. ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე. ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე.

**მოითხოვეთ ყველგან**
**უმაღლეს ხარისხის**
# კონიაკი და არაყი
# ი. მ. ლაზარევის
თბილისი კიროჩ. ქ. № 19. 305—20—19